I მაისი

წმ. იოსებ მშრომელი (ნ.მ)

2009 პარასკევი

საქ. 9, 1-20; ფს. 116; იოან. 6, 52-59 III თ

უდეს «ქვედა ეკლესიის» დღესასწაული.

მე ვარ იესო, რომელსაც შენ სდევნი!

(საქ. 9, 5)

ღვთის მადლმა მთლიანად შეცვალა სავლე:
იესოს მდევრიდან ის თავისი უფლისთვის
თავდადებულ მის მოციქულად იქცა.
სავლეს სულიწმიდამ აუხილა თვალი
და 'დაანახა' იესო, სულიწმიდამ შეაყვარა მას
უფალი მთელი გულით.
ერთმა ძმამ გამანდო:
,,ხშირად მოვუხმობ სულიწმიდას
ამა თუ იმ ადამიანზე...".
გმადლობ, იესო, მათთვის,
ვინც ჩემთვისაც ილოცა და ლოცულობს!

2 მაისი

წმ. ათანასე (მ)

2009 შაბათი

საქ. 9, 31-42; ფს. 115; იოან. 6, 60-69 III თ

სული ცხოველმყოფელია. (იოან. 6, 63)

იმ დღეს განსაკუთრებულად საბრალოდ
და ტანჯულად ვგრძნობდი თავს,
მაგრამ იესომ მსახურებისკენ მოძიხმო:
სხვა ქალებთან ერთად ჩვენი ეკლესია
უნდა დამესუფთავებინა.
იესოს მოხმობას მივყევი,
მის ხელთ მივანდე ჩემი საბრალისობა...
ჩვენს შორის სიხარული აღმოცენდა,
სულიწმიდის სიხარული!

3 მაისი

პასექის IV კვირადღე

2009 კვირა

საქ. 4, 8-12; ფს. 117; I იოან. 3, 1-2; იოან. 10, 11-18 IV თ

წმ. ფილიპე და წმ. იაკობ მოციქულები (დ)

მწყემსი კეთილი თავის სულს გასწირავს ცხვართათვის. (იოან. 10, 11)

უფალო იესო,
დღეს შენ ჩვენს წინაშე კეთილი მწყემსი ხარ.
მაშ, გულის თვალი აგვიხილე:
ვირწმუნებთ, რომ შენ ხარ ის, ვისაც ვუყვარვართ,
ვინც საკუთარ სიცოცხლეს გასცემს,
რათა ჩვენ ვიცოცხლოთ.
მოციქულთან ერთად,
შინაგანი სიხარულით გავიმეორებთ:
„მას ვუყვარვარ და სულს გასწირავს ჩემთვის“!
და არაფერი მოგვაკლდება!

4 მაისი

2009 ორშაბათი

საქ. 11, 1-18; ფს. 41-42; იოან. 10, 1-10 IVთ

მე ვარ კარი. (იოან. 10, 9)

კარი განსაზღვრულ ადგილას მოხვედრის
შესაძლებლობას გვაძლევს.
იესო თავს კარს ადარებს: ის ნამდვილი კარია!
მისი სიტყვის მოსმენით და განცდით,
ამგვარად მის ცხოვრებაში შესვლით,
ჩვენ მამა ღმერთთან მივდივართ,
ჩვენი სიხარულის,
სისრულის „ადგილს“ ვაღწევთ.
მოგვეც, უფალო იესო, მახვილი
და მგრძნობიარე სმენა
შენი ხმის გასაგონად!

5 მაისი

2009 სამშაბათი

საქ. II, 19-26; ფს. 86; იოან. 10, 22-30 IV თ

მაგრამ თქვენ არ გჯერათ, რადგან ჩემი ცხვრისანი არა ხართ. (იოან. 10, 26)

გმადლობ, უფალო იესო,
რომ „შენიანებად“, შენს ცხვრებად გვაქციე,
ისე, რომ ეს არაფრით დაგვიმსახურებია!
გმადლობთ შენი სულიწმიდისთვის,
რომელიც შთაგვბერე: ის სამყაროსგან
გამოგვარჩევს, შენდამი რწმენას გვიბოძებს,
მისი წყალობით სრულად ვავლენთ
შენდამი ჩვენს რწმენასა და მინდობას.
როდესაც სიყვარულით გიმზერთ, თავს
გიძღვნით, შენ ჩვენში შენს სიცოცხლეს
აღვივებ და შენს სისრულეში გვიღებ.

6 მაისი

2009 ოთხშაბათი

საქ. 12, 24-13, 5; ფს. 66; იოან. 12, 44-50 IV თ

მე ნათელი მოვედი სოფელში (იოან. 12, 46)

როგორც ნათელი, რომელიც რას ანათებს?
რომელიც ანათებს იმას, რისი დანახვაც,
მთელი ცოდნის, ძალისხმევისა და კეთილი
ნების მიუხედავად, ვერც ერთმა ადამიანმა ვერ
შეძლო და ვერც შეძლებს: ღმერთს.
იმ ღმერთს, რომელიც იესოში ხილულად იქცა,
თავად გადმოდგა ნაბიჯი ადამიანისკენ
და მას თავისი შეცნობის საშუალება მისცა.
იესო ის ნათელია, რომლის მცირედი ანარეკლი
წინასწარმეტყველებმა გაგვაცნეს,
მაგრამ სრულად მხოლოდ მან გააბრწყინა.
ალელუია!

7 მაისი

წმ. სტანისლავი (ნ.მ)

2009 ხუთშაბათი

საქ. 13, 13-25; ფს. 88; იოან. 13, 16-20 IV თ

მე ვიცი, ვინც ამოვარჩიე. (იოან. 13, 18)

იუდა ისკარიოტელი – იესოს იგი შეცდომით
არ აურჩევია, მან იცოდა, რომ იუდა გასცემდა.
სხვებთან ერთად მან იუდა იმისთვის აირჩია,
რომ წმიდა წერილის სიტყვები დაეცვა:
„ჩემმა განუყრელმა მეგობარმაც კი,
ვისი იმედიც მქონდა, ვინც ჩემს პურს ჭამდა,
წიხლი ჩამაზილა“ (ფსალმ. 40).
იესოს კვლავაც უყვარდა იუდა
და პატივს სცემდა მის თავისუფლებას:
ის ჩვენც ასევე გვექცევა, ელის, რომ მივი-
ღებთ მას და სიყვარულით ვუპასუხებთ!
მოდი, უფალო იესო!

8 მაისი

2009 პარასკევი

საქ. 13, 26-33; ფს. 2; იოან. 14, 1-6 IV თ

ჩემი მამის სახლში ბევრი სავანეა.

(იოან. 14, 2)

მამის სახლში ბევრი სავანეა,
რადგანაც მამის გული დიდია, უსასრულოა.
იესოს მეშვეობით მან თავისთან ყველასთვის
გაამზადა ადგილი და მხურვალედ სურს,
რომ ყველამ იაროს ჭეშმარიტი გზით,
რომელსაც მისი სიყვარულის განცდისა
და მარადიულად მისით ტკბობისკენ მივყავართ.
არ დაეჭვდე, იქ შენთვისაც არის ადგილი:
გაჰყევი გზას იესოსთან ერთად!

9 მაისი

2009 შაბათი

საქ. 13, 44-52; ფს. 97; იოან. 14, 7-14 IV თ

უფალო, გვაჩვენე მამა. (იოან. 14, 8)

გმადლობთ, უფალო იესო,
რომ მამა ღმერთი მაჩვენე!
შენ მაჩვენე მისი სინაზე, მისი ნათაგრძნობა და
სიკეთე, პატარებისადმი მიპყრობილი მზერა,
ზრუნვა ჩემსა და ყოველ ადამიანზე,
ჩემი მიღებისა და პატიებისთვის
მისი უსასრულო მზადყოფნა...
გმადლობ იმის ჩვენებისთვის,
თუ რამდენად ძვირფასი ვარ მის თვალში.
ეს მართლაც საკმარისია ჩემთვის, რამეთუ
დანამდვილებით იმის ცოდნა, რომ ღმერთს
ვუყვარვარ, ყოველ ჩემს მოთხოვნილებას
აკმაყოფილებს.

10 მაისი

პასექის V კვირადღე

2009

კვირა

საქ. 9, 26-31; ფს. 21; I იოან. 3, 18-24; იოან. 15, 1-8 I თ

უჩემოდ არაფრის კეთება არ შეგიძლიათ. (იოან. 15, 5)

მართლაც, ჩვენთვის, ქრისტიანთათვის,
იესოს მოწაფეთათვის,
უპირველესი ვალდებულება და სიხარული —
ის, შინაგანად რომ გვავსებს და გვახასიათებს,
— იესოსთან ერთად დარჩენაა.
ამ ერთიანობის განცდით ჩვენი უფლის ხსნის
ქმედების თანამონაწილენი ვხდებით,
ხოლო მის გარეშე ჩვენს ცხოვრებაში
ყოველივე უნაყოფოა.
სულო წმიდავ, მოდი, გვასწავლე
და მოგვამადლე იესოსადმი სიყვარული!

II მაისი

2009 ორშაბათი

საქ. 14, 5-18; ფს. 113; იოან. 14, 21-26 I თ

ჩემს მოყვარულს კი ჩემი მამაც შეიყვარებს. (იოან. 14, 21)

ვცდილობდი, კონკრეტულად
განმეხორციელებინა იესოს სიტყვები:
„მიეცით და მოგეცემათ“.
ამის შესაძლებლობა რამდენჯერმე მომეცა
და გარკვეულ თანხას გავცემდი...
ერთ დილას აღმოვაჩინე,
რომ მამა ღმერთის ხელი მეც მაძლევდა იმას,
რის მიცემასაც ძმებისთვის ვცდილობდი.
მშვენიერია, ჭეშმარიტი სიცოცხლეა
გიყვარდეს და გრძნობდე სხვათა სიყვარულს!

12 მაისი

2009 საკვირაო

საქ. 14, 19-28; ფს. 144; იოან. 14, 27-31 I თ

მივდივარ და დავბრუნდები თქვენთან. (იოან. 14, 28)

იესოს „არყოფნა“ მუდამ დროებითია, წარმავალი მომენტია. ჩვენ განვიცადეთ მისი არყოფნა, როცა სიკვდილში მის შესვლას ვეწვრეტდით, ხოლო ახლა, საღდგომო პერიოდში, მკვდრეთით აღმდგარი ქრისტეს დაბრუნებას ვეგებებით. ასევე განვიცდით მარტოობისა და ტკივილის პერიოდებს, მომენტებს „იესოს გარეშე“, მაგრამ შემდეგ მას კიდევ უფრო ახლოს შევხვდებით, მისი ერთგულების მოწმენი გავხდებით. მივდივარ და დავბრუნდები თქვენთან!

13 მაისი

2009 ოთხშაბათი

საქ. 15, 1-6; ფს. 121; იოან. 15, 1-8 I თ

მე ვარ ვაზი ჭეშმარიტი. (იოან. 15, 1)

ებრაელთათვის ვაზი მნიშვნელოვანი
შინაარსის მქონე ხატებაა:
წმიდა წერილში ის ღვთის ხალხს აღნიშნავს.
ამ მშვენიერ ხატებას იესო თავის თავსა და
თავის ეკლესიას უსადაგებს: ჩვენ,
ქრისტიანები, ჩვენს უფალ ქრისტესთან
ერთად ერთ მთლიანობას, ერთ სიცოცხლეს,
ერთ „ვაზს“ ვქმნით, რომელიც მამა ღმერთს
უყვარს და რომელზეც ის ზრუნავს.
ამ ძვირფას ერთიანობას იესოს სიტყვისადმი
ყოველდღიური, სიყვარულით აღსავსე მორჩი-
ლება ასაზრდოებს.

14 მაისი

წმ.მატათია მოციქული (დ)

2009 ხუთშაბათი

საქ. I, 15-17.20-26; ფს. 112; იოან. 15, 9-17 ს წ

მე აგირჩიეთ თქვენ. (იოან. 15, 16)

წმ. მატათია, ვისი ხსენების დღესაც
აღვნიშნავთ დღეს, უფალმა თავის მოციქულად,
თავისი მკვდრეთით აღდგომის მოწმედ აირჩია.
გმადლობთ, უფალო იესო,
თითოეული ჩვენგანის არჩევისათვის:
შესაძლებლობა მოგვეცა, ცოცხლად
გაღიაროთ და შენი სიყვარული ვიგემოთ.
მოგვეც უნარი,
დღეს და მარად დაგამოწმოთ ხალისიანი,
შენი სიტყვისადმი ერთგული ცხოვრებით.

15 მაისი

2009 პარასკევი

საქ. 15, 22-31; ფს. 56; იოან. 15, 12-17 I თ

თქვენ ჩემი მეგობრები ხართ. (იოან. 15, 14)

ჩვენ, ქრისტიანები, ვინც იესოს სიტყვის
განცდას ვცდილობთ, მისი მეგობრობის
ფასდაუდებელ ნიჭს ვფლობთ;
ჩვენ მასთან თანაზიარებაში ვცხოვრობთ,
მის სიცოცხლეს ვიზიარებთ:
მისი მეშვეობით ვიღებთ მამა ღმერთის
სიყვარულს, მისი მეშვეობით ვუძღვნით მამა
ღმერთს მთელ ჩვენს სიყვარულს უწყვეტ
„ქროლვად“, რომელიც სულიწმიდაა.

16 მაისი

ღირსნი მამანი მიქაელ და არსენ ქართველნი (მ)

2009 შაბათი

საქ. 16, 1-10; ფს. 99; იოან. 15, 18-21 I თ

მონა არ არის თავის ბატონზე დიდი.

(იოან. 15, 20)

ყოველი ქრისტიანი დიდ პატივად თვლის
იგივეს განცდას, რაც იესომ განიცადა,
მათ შორისაა მტრის სიძულვილიდან
მომდინარე უარყოფა, ჯვარი.
თავისი უფლის მსგავსად, ქრისტიანი
ყოველივეს სიყვარულით აკეთებს,
შუამდგომლობს იმისი ხსნისთვის,
ვინც, მტრის მსხვერპლად და საშუალებად
ქცეული, ბოროტად ექცევა მას.

17 მაისი

პასექის VI კვირადღე

2009

კვირა

საქ. 10, 25-27.34-35.44-48; ფს. 97; I იოან. 4, 7-10; იოან. 15, 9-17 II თ

გიყვარდეთ ერთმანეთი. (იოან. 15, 17)

ჩვენთვის, ქრისტიანთათვის, იესოს მოწაფეთათვის, ძალზე მნიშვნელოვანია ერთმანეთის სიყვარული: ეს ჩვენი უფლის მიერ ჩვენთვის მოცემული მცნებაა. მაგრამ ეს სიყვარული არა თვითმიზანი, არამედ კონკრეტული საშუალებაა, ვუთხრათ იესოს: „შენი სიყვარული ყველაფერია ჩემთვის“. და კიდევ, ერთმანეთისადმი სიყვარულის განსაცდელი ძალა ჩვენგან არ მოდის: ერთმანეთის სიყვარული იმიტომ ძალგვიძს, რომ მას, იესოს ვუყვარვართ.

18 მაისი

2009 ორშაბათი

საქ. 16, 11-15; ფს. 149; იოან. 15, 26-16, 4 II თ

თქვენც დაამოწმებთ. (იოან. 15, 27)

ჩემს გარშემო ყველამ იცის, რომ ქრისტიანი ვარ: მაშასადამე, რასაც ვაკეთებ, ყველაფერი ქრისტიანული რწმენის, ეკლესიის, იესოს კარგად ან ცუდად დამოწმებად იქცევა. მაშასადამე, ჩემი ქრისტიანულად ცხოვრება შემიძლია სიხარულით აღვიქვა, როგორც ქრისტეს კარგად წარმოჩინების შესაძლებლობა, რაც სულიწმიდის დახმარებით შემიძლია განვახორციელო, უმთავრესად, როცა დამოწმება „მოწამეობას“ ნიშნავს და ტანჯვას გულისხმობს.

19 მაისი

2009 სამშაბათი

საქ. 16, 22-34; ფს. 137; იოან. 16, 5-11 II თ

ახლა მივდივარ მასთან, ვინც მე მომავლინა. (იოან. 16, 5)

იესომ თითქმის უყვირა
ტანჯვისა და სიკვდილის გზით
მამა ღმერთთან მისი დაბრუნების შესახებ
ცნობით დადარდიანებულ თავისიანებს!
მას ჩემი გამხნევებაც სურს,
როცა იმავე, ჩემს მოყვარულ მამასთან
დაბრუნების შიში მიპყრობს.

20 მაისი

2009 ოთხშაბათი

საქ. 17, 15. 22-18, 1; ფს. 148; იოან. 16, 12-15 II თ

კიდევ ბევრი რამ მაქვს თქვენთვის სათქმელი. (იოან. 16, 12)

ზოგჯერ გვეჩვენება, რომ ჩვენს სულიერ
ცხოვრებაში მიზანს უკვე მივაღწიეთ,
რომ წინსვლა აღარ არის შესაძლებელი,
რომ იესოსთან ურთიერთობაში
რაიმე ახალს აღარ უნდა ველოდოთ.
მაგრამ იესო ამბობს: „კიდევ ბევრი რამ მაქვს
თქვენთვის სათქმელი“.
მისი კიდევ უფრო ღრმად და ახლებურად
გაცნობის პროცესი არასდროს დასრულდება.
ვინ იცის, ის კიდევ რა მოულოდნელობებს
გვიმზადებს!

21 მაისი

2009

ზეცად ამაღლება უფლისა ჩვენისა
იესო ქრისტესი (დდ)

კუთშაბათი

საქ. I, I-II; ფს. 46; ეფეს. 4, I-I3; მარკ. I6, I5-20 ს თ

ვინც ირწმუნებს და მოინათლება, გადარჩება. (მარკ. I6, I6)

ამ დიდ დღესასწაულზე, უფალო იესო, მამა ღმერთის მარჯვენით შენს დიდებით ასვლას ვზეიმობთ და ვიხსენებთ მისიას, რომელიც ზეცად ამაღლებამდე შენს ეკლესიას მიანდე: მისი გამოცხადების წყალობით ადამიანები გიწამებენ, ნათლობას მიიღებენ და ხსნილნი იქნებიან. გმადლობთ, უფალო იესო, რომ ამ მისიაში ჩვენ, შენი ეკლესია, მარტონი არ ვართ: მამა ღმერთის მარჯვენით შენ, ძლევამოსილი, მარად ჩვენთან ერთად ხარ. ალელუია! იესო!

22 მაისი

2009

შიო მღვიმელი,
ცამეტ ასურელ მამათაგან (VIს.) (მ)

პარასკევი

საქ. 18, 9-18; ფს. 46; იოან. 16, 20-23 II თ

ნუ შეგეშინდება, არამედ ილაპარაკე.

(საქ. 18, 9)

ამ სიტყვებით იესო წმიდა პავლეს ამხნევებს.
იესო მართლაც აღდგა მკვდრეთით,
ახლა ცოცხალია ჩვენს გვერდით და ხედავს,
თუ როდის გვჭირდება გამხნევება
ან თანადგომა. მისი მადლობელი ვარ
გამხნევებისა და მხარდაჭერისთვის,
რომელსაც ჩემს ძმათა სიტყვის, ქმედებების
თუ მცირედი ფაქტების მეშვეობით ავლენს:
ასეთ დროს თითქოს მესმის მისი ხმა:
„ნუ შეგეშინდება, განაგრძე...“

23 მაისი

2009 შაბათი

საქ. 18, 23-28; ფს. 46; იოან. 16, 23-28 II თ

არ გეუბნებით, რომ მამას ვთხოვ თქვენთვის. (იოან. 16, 26)

,,არ გეუბნებით,
რომ მამას ვთხოვ თქვენთვის...''.
მეტიც, ესეც არ არის საჭირო, გვეუბნება იესო:
საკმარისია მისი სახელის
სიყვარულით წარმოთქმა;
მამა ღმერთი მხოლოდ ამას ელის,
რათა გვიბოძოს ყოველივე ის,
რაც ნამდვილად გვესაჭიროება,
რათა აღგვავსოს თავისი სიყვარულით,
თავისი სიცოცხლით, თავისი სულიწმიდით.

24 მაისი

რიგითი ყამის VII კვირადღე

2009

კვირა

საქ. I, 15-17; ფს. 102; I იოან. 4. 11-16; იოან. 17, 11-19 III თ

მამა ივანე გვარამაძის მოხსენიება († 1912)

წმიდაო მამაო, დაიცავი შენი სახელით ესენი, რათა ჩვენსავით ერთნი იყვნენ. (იოან. 17, 11)

იესო ითხოვს რომ მამამ დაგვიცვას
თავისი სიწმინდით და სახელით.
იესო ითხოვს, რომ მოწაფეები იყვნენ
დაცულნი მამის სიყვარულით, მათ ერთობაში.
მათ ერთიანობაში გაყოფას ადგილი არა აქვს.
მათ სიყვარულში ადამიანს არაფრის არ ეშინია.

25 მაისი

2009 ორშაბათი

საქ. 19, 1-8; ფს. 67; იოან. 16, 29-33 III თ

მე არა ვარ მარტო, ვინაიდან მამაა ჩემთან. (იოან. 16, 32)

იესომ მაგალითი დაგვისახა,
რომელიც შუქისა და ძალის
წყაროა ჩვენთვის
ცხოვრების ნებისმიერ დროს.
თავისი მიწიერი არსებობის ყოველი წამი
იესომ მამა ღმერთთან ერთიანობაში განიცადა
და ამ ერთიანობაში ჰპოვა
მშვიდობა ყოველ ვითარებაში,
თავისიანების მიერ მიტოვებულობისა
და თვით სიკვდილის ჟამს.

26 მაისი

წმ.ფილიპე ნერი (მ); ღირსი ექვთიმე ათონელი, მთარგმნელი (+1028წ.) (ნ.მ)

2009 **სამშაბათი**

საქ. 20, 17-27; ფს. 67; იოან. 17, 1-11 III თ

ვემსახურებოდი უფალს სრული თავმდაბლობით. (საქ. 20, 19)

ეკლესიაში მრავალი ჩვენი ძმა და და ემსახურება მორჩილად უფალს; ამას თავად ვხედავთ, ამით ჩვენც ვხარობთ და მათი მიბაძვა გვსურს: ეს არიან წინამძღვრები, რომლებიც მუდამ ახალ და უფრო მარტივ გზებს ეძებენ საკუთარ სამწყსოსთან იესოს მისაყვანად, ქალები, რომლებიც ერთად ასუფთავებენ და ალამაზებენ ჩვენს ეკლესიებს საღვთო მსახურებებისთვის, ბავშვები, რომლებიც თამაშს ანებებენ თავს, რათა საკურთხეველთან მოემსახურონ... გმადლობ, იესო, რომ თითოეულ ჩვენგანს მიანდობ ამოცანას, შესაძლოა, მცირეს, მაგრამ ძვირფასს შენი მამობრივი მზერისთვის!

27 მაისი

2009 ოთხშაბათი

საქ. 20, 28-38; ფს. 67; იოან. 17, 11-19 III თ

მიგანდობთ უფალს. (საქ. 20, 32)

უფლისადმი ნდობა საუკეთესო დაცვაა,
რომელიც შეიძლება შემოვარტყათ გარს
ჩვენთვის ძვირფას ადამიანებს,
ეს საუკეთესო საშუალებაა რწმენაში მათი
ზრდის წაქეზებისა და ხელშეწყობისათვის.
მკვდრეთით აღმდგარ და ცოცხალ
უფალ იესოსადმი ნდობა
და ყოველივეს მისდამი მინდობა
ნებისმიერ ვითარებაში მოქმედების
საუკეთესო საშუალებაა.

28 მაისი

2009 კუთშაბათი

საქ. 22, 30; 23, 6-11; ფს. 15; იოან. 17, 20-26 III თ

მამაო მართალო,
სოფელმა არ შეგიცნო. (იოან. 17, 25)

იესო თავის ვნების წინ
მხურვალედ ლოცულობს თავისიანებისთვის.
იცის, რომ მათ უნდა განაგრძონ
მის მიერ დაწყებული სასიცოცხლო საქმე:
გაიცნონ მამა ღმერთის სახე იმ სამყაროს,
რომელიც არ იცნობს მას
და ძალადობის, სიძულვილისა
და ეგოიზმის წყვდიადში ცხოვრობს.
მოდი, სულო წმიდავ,
მოგვფინე ზეციდან შენი შუქის სხივი!

29 მაისი

2009 პარასკევი

საქ. 25, 13-21; ფს. 102; იოან. 21, 15-19 III თ

გიყვარვარ? (იოან. 21, 15)

დღეს, უფალო იესო, მინდა სერიოზულად
მივუდგე ამ შეკითხვას პეტრესა
და ყველა შენი მოწაფისადმი.
ვიფხიზლებ, რათა ჩემი გული
მთლიანად შენ გეკუთვნოდეს, ჩემო უფალო,
ჩემო მხსნელო და უსასრულოდ მოყვარულო.
თქვენი ხსენების დღეს, მოწამენო
სისინიუს, მარტირიუს და ალექსანდრე,
შეწევნას გთხოვთ თქვენც,
ვინც იესოსადმი სიყვარულის
ესოდენ მშვენიერი მაგალითი მომეცით!

30 მაისი

2009 შაბათი

საქ. 28, 16-20.30-31; ფს. 10; იოან. 21, 20-25 III თ

უფალო, ვინ გაგცემს? (იოან. 21, 20)

უფალო იესო,
უკვე ვუწყით ჩვენი სისუსტის შესახებ,
მრავალჯერ ვნახეთ, რომ უშენოდ არაფერი
ძალგვიძს, არ შეგვწევს ძალა, გიერთგულოთ.
ამიტომაც, სულ უფრო მეტად მოგენდობით.
გმადლობ, რომ ხვალ, სულთმოფენობის დღეს,
შენ ისევ მოინახულებ შენს ეკლესიას
და მოუვლენ მას სულიწმიდის ნიჭს:
ეს შენს მიერ დაპირებული ნიჭია,
ის იქნება ჩვენი სიყვარულის ძალა.

31 მაისი

სულთმოფენობა (დდ)

2009

კვირა

საქ. 2, 1-11; ფს. 103; გალ. 5, 16-25;
იოან. 15, 26-27; 16, 12-15

სწ

ბათუმის ახალი ეკლესიის დღესასწაული

იგი განმადიდებს მე. (იოან. 16, 14)

უფალო იესო, შენ იცი, რომ სულიწმიდა
გიცნობს და იცნობს მამა ღმერთს!
სწორედ ის განგადიდებს, როცა გვაცნობიერებინებს, რომ შენ ხარ ჭეშმარიტი სიბრძნე;
როცა შენს მიღებაში გვეხმარება, რათა შენ
ჩვენში სიცარიელეთა შევსება შეძლო;
როცა შენგან ჩვენი წმიდამყოფელი ნათლისა
და მშვიდობის მისაღებად გვამზადებს.
შენი ცნობა და მიღება მხოლოდ სულიწმიდის
შუქის წყალობით ძალგვიძს!